

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

ნინო შარაშენიძე

ტექსტის ღიაობა და დახურულობა
თანამედროვე გერმანულ ენაში
(XX- XXI საუკუნეების პრესისა და
მხატვრული პროზაული ტექსტების მასალაზე)

სპეციალობა: 10.02.04 - რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერება

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო
ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თბილისი
2006

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის რომანულ-გერმანიკული ენათმეცნიერების კათედრაზე

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მანანა პაიჭაძე (10.02.04)

- ოფიციალური ოპონენტები:
1. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ია ფხაკაძე (10.02.04)
 2. ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ნინო ქიმერიძე (10.02.04)


დისერტაციის დაცვა შედგება 2006 წლის 15 მარტს 13:00 საათზე ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული P.10.07. N7 სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე.
მისამართი: 0128, თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი, №1. კორპ. I, აუდიტორია №93.

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია თსუ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში (0143 ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. №2)

ავტორეფერატი დაიგზავნა 2006 წლის 15 თებერვალს.

სადისერტაციო საბჭოს სწავლული მდივანი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რამაზ ქურდაძე



რამაზ ქურდაძე

სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება

თემის აქტუალობა. ტექსტის ლინგვისტიკის ინტერესების სფეროში მოქცეულია ტექსტი როგორც უმაღლესი საკომუნიკაციო ერთეული, რომლის სემანტიკური და ფორმალური სტრუქტურა აიგება გარკვეული კანონების თანახმად. ეს კანონები და მათი დარღვევის შემთხვევები უშუალოდ ეხება წერილობითი ტექსტის დახურულობისა და ლიაობის პრობლემას, რომლის აქტუალობა ვლინდება ისეთი საკითხების გაშუქებაში, როგორიცაა: წერილობითი ტექსტის დახურულობისა და ლიაობის მახასიათებლების დადგენა, ერთი მხრივ, და დახურულობისა და ლიაობის რაობის განსაზღვრა, მეორე მხრივ. დასმული პრობლემის კვლევა მჭიდროდ უკავშირდება შემდეგ საკითხებს:

- 1) როგორია სემანტიკურად და სტრუქტურულ-ფორმალურად გამართული წერილობითი წარმონაქმნის აგების პრინციპები;
- 2) რა სახის ნორმიდან გადახვევაა დასაშვები წერილობით ტექსტში მკითხველთა ყურადღების მიპყრობის მიზნით;
- 3) სად გადის ის ზღვარი, რომლის მიღმა წერილობითი ტექსტი როგორც კომუნიკაციური სუპერნიშანი კარგავს თავის აზრს.

დასმული პრობლემა მიგვაჩინა აქტუალურად, ვინაიდან მას აქვს დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გარდა ამისა, იგი ნაკლებადაა შესწავლილი ლინგვისტურ ლიტერატურაში. გერმანულ ლინგვისტთა შორის დახურულობისა და ლიაობის პრობლემას წინადადების დონეზე შეეხო ჰ. ბრინკმანი, ხოლო ქართულ მეცნიერთა შორის იგივე პრობლემით უკვე ტექსტის დონეზე დაინტერესდა პროფ. ვ. ფურცველაძე.

როგორც ნაშრომის სათაური მიუთითებს, ჩვენი კვლევის ინტერესები მიმართულია თანამედროვე გერმანული მხატვრული პროზისა და მასმედიის ტექსტებზე არა ფართო გაგებით, არამედ შევეცადეთ მათი განხილვა, ერთი მხრივ, ტექსტის დახურულობასთან, ხოლო, მეორე მხრივ, მისივე ლიაობასთან მიმართებაში.

სადისერტაციო ნაშრომი **მიზნად** ისახავს დახურულობისა და ლიაობის რაობის დადგენას, რაც ხელს უწყობს თანამედროვე გერმანული ტექსტების სემანტიკური და ფორმალური

— 2066 —